სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N7

დ. ასპინძა თებერვალი 2021 წ.

ერთის მხრივ თვითმართველი ერთეული ასპინძის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენელი მისი მერის, როსტომ მაგრაქველიძის სახით (შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა მეფე თამარის ქ №3 და მეორე მხრივ ი/მ ,,შალვა ხურციძე“ ს/კ 60001025894, (შემდგომში მიმწოდებელი). ქ. ახალციხე, გამსახურდიას, ქ. N2. ტელ. 595 30 26 93. ,,სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად დებენ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 CPV42512000. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისათვის კონდიციონერების შესყიდვა თანმდევი მომსახურეობით (მონტაჟი).

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
1	კონდიციონერი Midea 18000BPU, მონტაჟით	ცალი	3	1550	4650

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. სულ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4650 (ოთხი ათას ექვსასორმოცდათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში ნ. შავაძე

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებლის მიერ საქონლის (თანმდევი სტანდარტული მონტაჟით) მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარულ დღეში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება: დ.ასპინძა. მეფე თამარის N3.

5. გარანტია

5.1 მიწოდებული საქონლის (თანმდევი სტანდარტული მონტაჟით) საგარანტიო ვადა განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების შემდეგ 2 (ორი) წელი.

5.2 მიმწოდებელი იძლევა მიწოდებული საქონლის (თანმდევი სტანდარტული მონტაჟით) საქართველოში მოქმედი სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო მიწოდებული საქონელი (თანმდევი სტანდარტული მონტაჟით) ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.4 ქარხნული წუნის (დეფექტის) შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დეფექტური საქონლის შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.5 საგარანტიო მომსახურების აუცილებლობის შემთხვევაში, საქონლის დემონტაჟი, ტრანსპორტირება და მოწყობა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარებას განახორციელებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში ნუგზარ შავაძე.

8.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

8.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

8.3 ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის გადახდის შემდგომ განხორციელდება მიწოდებული საქონლის თანხის ანგარიშსწორება.

8.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.2. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.2შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

(ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე, თუ:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

12.5 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

12.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საომარი ვითარება, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

13.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ

შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი14.სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი- შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

14.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2021 წლის 10 მარტის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

შემსყიდველი: ასპინძის მუნიციპალიტეტის
მერი რ. მაგრაქველიძე
დ.ასპინძა მეფე თამარის ქ. №3
საბანკო რეკვიზიტები:

ხელმოწერა .....

ASPINDZA MUNICIPALITY CITY HALL

Digitally signed by ASPINDZA MUNICIPALITY CITY HALL
Date: 2021.02.04 16:52:53 +04'00'

ასპინძის თვითმმართველი ერთეული
საინდიფიკაციო კოდი 223105155
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი TRESGE22, 220101107
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900

მიმწოდებელი: ი/მ ,,შალვა ხურციძე“
ქ. ახალციხე, გამსახურდიას ქ. N2

ხელმოწერა .....

საბანკო რეკვიზიტები:
ი/მ ,,შალვა ხურციძე“
ს/კ 60001025894
ბანკი- ს/ს საქართველოს ბანკი
კოდი BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში GE39BG0000000458968800
ტელ. 595 30 26 93
ელ. ფოსტა maianadiradze24@yahoo.com